საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1662
13/05/2022

1662-21-2-202205131209

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს
მის: ქ. ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ. №26
ელ.ფოსტა: Kuxianidze87@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7411 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №7-ში, მეორადი პოლიეთილენის პარკების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის (ნარჩენების აღდგენა) პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის პირველ თავში მოცემულ ცხრილში მითითებული საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები არ ემთხვევა, მე-2 თავში მითითებულ GPS კოორდინატებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენი (დაქუცმაცებისას წარმოქმნილი დანაკარგი). შესაბამისად, დოკუმენტში აღნიშნული ნარჩენი გათვალისწინებული უნდა იყოს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით გათვალისწინებული კოდისა და დასახელების მინიჭებით;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული ნარჩენის კოდი - 15 01 01 შეუსაბამოა კომპანიის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ნარჩენის საწარმოში გამოყენების საკითხი;
- დოკუმენტში საწარმოს სამუშაო რეჟიმისა (2304 სთ/წელ) და გრანულატორის წარმადობის (25 კგ/სთ) გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს წელიწადში გადამუშავებული გრანულების რაოდენობა (120 ტონა);
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების აღდგენის შედეგად მიღებული გრანულების ავზში გასაგრილებლად წყლის გამოყენების საკითხი;
- ობიექტზე დასაქმებული პერსონალის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხები;

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი პროფილის ობიექტი არ ფუნქციონირებს, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო საწარმოდან 220 მეტრში განთავსებულია ი/მ გიორგი ჩხიკვაძის, 260 მეტრში - შპს „უ&ნ ჯგუფის“ და 430 მეტრში ი/მ პეტრე მაჭავარიანის პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები. შესაბამისად, დოკუმენტში შეფასებული უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო